4
ბ-135

ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

# ქეთევან უჩას ასული გაბუნია

## კორეფერენცია და პრონომინალიზაცია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

/დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მასალის მიხედვით თანამედროვე ფრანგულ და ქართულ ენებში/

10.02.07. ტიპოლოგიური და შედარებითი ენათმეცნიერება

ავტორეფერატი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად

თბილისი - 1997

ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ქეთევან უჩას ასული გაბუნია

# კორეფერენცია და პრონომინალიზაცია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

/დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მასალის მიხედვით თანამედროვე ფრანგულ და ქართულ ენებში/

10.02.07. ტიპოლოგიური და შედარებითი ენათმეცნიერება

ავტორეფერატი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად

-1560-

თბილისი - 1997

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ი.ფხაკაძე**
ექსპერტი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **რ.ენუქიძე**
ოფიციალური ოპონენტები - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ც.ახვლედიანი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი **ქ.ჯაში**
წამყვანი დაწესებულება - თბილისის სულხან-საბა ორბელიანის
სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1997 წლის „30“ „VI“
14.00 საათზე თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო
უნივერსიტეტის P-1002 C № 6 საბჭოს სხდომაზე. (ქ.თბილისი,
ი.ჭავჭავაძის გამზირი 1, კორპ. 1.)

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1997 წ. „27 V“

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი /გ.ი. წიბახაშვილი/

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

კორეფერენცია ნაცვალსახელთა სემანტიკის აღწერის ერთ-ერთი საშუალებაა. კორეფერენცია თავისთავად გულისხმობს რეფერენციას, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს გამონათქვამის ჭეშმარიტების ღირებულებას. რეფერენციის პრობლემისადმი ინტერესის გაძლიერება გამოიწვია, უწინარეს ყოვლისა, ლოგიკური ანალიზის ენობრივი ბაზის გაფართოებამ მასში სალაპარაკო ენის მონაცემების ჩართვის შედეგად. რეფერენციის თეორია ეყრდნობა ობიექტთა (საგანთა) სახელების და, პირველ რიგში, კონკრეტული ლექსიკის მნიშვნელობასა და ხმარებას. საგანთა სახელები, რომელთაც შესწევთ სინამდვილის მოვლენათა დენოტაციის უნარი, მიუთითებენ ობიექტზე და გვაწვდიან ერთგვარ ინფორმაციას მის შესახებ. ამრიგად, საგნის აღნიშვნა, მასზე მითითება და, აქედან გამომდინარე, გამონათქვამის (წინადადების) ჭეშმარიტების ღირებულების დადგენა წარმოადგენს რეფერენციის არსს.

პრონომინალიზაციის (ნაცვალსახელთა კლასში გადასვლა) საფუძველზე კორეფერენტული (იდენტური ობიექტის აღმნიშვნელი) კომპონენტების ანალიზს რთულ ქვეწყობილ, კერძოდ კი დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში, ენათმეცნიერულ ლიტერატურაში შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა. რთული ქვეწყობილი წინადადების სტრუქტურული აგებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი ნაწილების ურთიერთგანლაგება. დამოკიდებული ნაწილის პოზიციის შესაძლო ცვალებადობის გამო ენათმეცნიერებმა შესაძლოდ მიიჩნიეს რთული წინადადებების დამატებით ორ ტიპად დაყოფა: მოქნილი და არამოქნილი სტრუქტურის წინადადებებად. მოქნილი სტრუქტურები ეს ის სტრუქტურებია, სადაც „დასაშვებია წინადადების შემადგენელ ნაწილთა განლაგების ვარიანტები (პრეპოზიცია, ინტერპოზიცია და პოსტპოზიცია, ან თუ პრეპოზიცია შეუძლებელია, მაშინ დასაშვებია მხოლოდ ნაწილის პოსტპოზიცია და ინტერპოზიცია კავშირით ან მაკავშირებელი სიტყვით)“; არამოქნილი სტრუქტურები ისეთი სტრუქტურებია, „რომლებშიც შეუძლებელია“ ნაწილთა გადაადგილება მეორე ნაწილისაგან კავშირის ან მაკავშირებელი სიტყვის გამოყოფის გარეშე და